ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №14

ქ. ბათუმი 22 ოქტომბერი, 2012 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად, ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ბათუმის განვითარების ფონდი” (ლუკა ასათიანის ქ. №25) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, ავთანდილ დარჩიას სახით, შემდგომში “შემსყიდველი” და მეორეს მხრივ, შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“ (ს/კ: 236093473; მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. ფაქტიური: ბათუმი, ლეონიძის №25), წარმოდგენილი ბათუმის სერვის ცენტრის ხელმძღვანელის გიორგი მამულაშვილის სახით, შემდგომში “მიმწოდწებელი” ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ავტომანქანის საბურავების შეძენა.(205/65 რ 15 კონტინენტალ პრემიუმკონტაქტ 2).

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია პასუხი აგოს მის მიერ გაწეულ მომსახურების ვარგისიანობაზე, მომსახურეობის დროულობაზე. შემოწმების შედეგად საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს აღნიშნული ნაკლი ან შეცვალოს ახლით შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯის გარეშე.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

2.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

2.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

2.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებებისაგან.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. კონკრეტული შესყიდვის ღირებულება განისაზღვრება
800.00 (რვაასი) ლარით შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. (საგადასახადო ა/ფ, სასაქონლო ზედნადები.).

4. ანგარიშსწორება

4.1.ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
4.1.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ლარებში. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
5.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელდშეკრულების პირობების .შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
5.3.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია.
5.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა.

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
7.2.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

ა) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ც) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

9.2. "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება

10.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის მიწოდება ხდება (აბონენტის) მიმწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

10.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, სრულდება ქართულ ენაზე.

13. შეტყობინება

13.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე უგზავნის მეორე მხარეს ხელშეკრულების შესაბამისად გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის 22 ნოემბრამდე.

15. დასკვნითი დებულებები

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად, აქედან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემდყიდველი”	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ ”ბათუმის განვითარების ფონდი”	შპს “იბერიას ტექ ავტომოტივი”
მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25	მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 245603529	საიდენტიფიკაციო კოდი: 236093473
ს.ს ”საქართველოს ბანკი”	ს.ს. “საქართველოს ბანკი”
ბ/კ. BAGAGE22	ბ/კ. BAGAGE22
ანგ: GE52BG0000000525182900	ანგ: GE29BG0000000153512100
თავმჯდომარე:	ბათუმის სერვის ცენტრის ხელმძღვანელი:
/ავთანდილ დარჩია/	/გიორგი ბამულაშვილი/
.....	.....
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)